



საია კიდევ ერთხელ ეხმიანება სოფელ შუქრუთის მოსახლეობის პროტესტს

ფოტო : [მაუნცებელი • Mautskebeli](#)

გუშინ, 2024 წლის 11 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის წინ დაიწყო აქცია ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთის ადგილობრივი მოსახლეობისა და მათი მხარდამჭერების მიერ, რომლებიც უკვე 6 თვეზე მეტია აპროტესტებენ კომპანია „ჯორჯიან-მანგანუმის“ საქმიანობის შედეგად მათი საცხოვრებელი გარემოსა და საკუთრებისათვის მიყენებულ ზიანს.

საიამ ჯერ კიდევ 2024 წლის 11 აპრილს გააკეთა განცხადება და მოუწოდა:

- ხელისუფლებას, დაინტერესებულიყო შუქრუთში მიმდინარე პროტესტით, და ემოქმედა იქ მაცხოვრებელთა საკუთრების უფლებისა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

ამის მიუხედავად, სახელმწიფოს ამ დრომდე არ უღიარებია ადამიანების სიცოცხლისა და

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი კრიზისული ვითარება. მათ შორის, არ მიუღია ზომები იმ სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის აღმოსაფხვრელად, რომლის წინაშეც ადგილობრივი მოსახლეობა დგას.

- საჯაროდ გავრცელებული წყაროების მიხედვით (A გუშინ აქციის მონაწილეებს არ აძლევდნენ ღამის გასათევად საჭირო დასაფენის გაშლის შესაძლებლობას, მაშინ, როცა ამის უფლებას პირებს საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა აძლევთ, რომლებიც, მათ შორის,

იცავს კარვის დადგმის უფლებას, როგორც შეკრების თავისუფლებით დაცულ სფეროს.

- მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეკრების თავისუფლების საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად არ დაუშვას აქციის მონაწილეთა უფლებების არათანაბომიერი შეზღუდვა.

- საია აქტიურად დააკვირდება შექრუთის პროტესტს, ასევე, დააკვირდება იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვებს, რომლებიც შექრუთის პროტესტის მონაწილეების მიმართ მიმდინარეობს.